



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000012685303118

№ ს-748

02 / აპრილი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 დეკემბრის Nს-779 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 დეკემბრის #ს-779 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების 1.3. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: **„ა. დავით პაპიაშვილი - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი“.**
2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

გიორგი კაპანაძე